სკა (როსტოვი) — “დინამო” თბილისი. 3:2 (1:1).

გოლები გაიტანეს — ბუროვმა (21), მატვეევმა (86) და კრივობოროდოვმა (88) (სამივე სკა), ცხოვრებოვმა (12) და ბარქაია (20) (ორივე “დინამო”)

როსტოვი. სტადიონი “როსტსელმაში”. 15 ოქტომბერი. ელექტროგანათება. 8 გრადუსი. 32 500 მაყურებელი.

სკა: ივანოვი, გეტმანოვი, ჩერტკოვი, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, ფისენკო (კალინკო—79), ბუროვი, კუჩინსკასი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

“დინამო” თბილისი - ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ე. ჰიარმსი; გვერდითი მსაჯები ჰ. კაატი და ი. გურევიჩი (ყველა ტალინი).

როსტოვის არმიელებისა და თბილისის “დინამოს” მატჩის დასასრულს აკლდა სულ 4 წუთი. წინ იყვნენ დინამოელები - 2:1. ანგარიში გახსნა **ცხოვრებოვმა**, რასაც მასპინძლებმა უპასუხეს **ბუროვის** მიერ გატანილი გოლით და ტაიმი ფრედ დამთავრდა - 1:1.

შესვენების შემდეგ თბილისელები ერთხელ კიდევ დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა ბარქაიამ) და ამ ანგარიშს ინარჩუნებდნენ **86-ე წუთამდე**. გამარჯვებას თითქოს ბევრი არაფერი აკლდა, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში წონასწორობა აღადგინა **მატვეევმა,** ხოლო **88-ე წუთზე კრივობოროდოვმა** გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. ანგარიშით 3:2 მატჩი მოიგეს მასპინძლებმა.

თბილისელები ამ შეხვედრაში თამაშობდნენ ნაკრების წევრთა გარეშე:

“დინამო” თბილისი - ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.

დუბლიორთა მატჩშიც გაიმარჯვეს როსტოველებმა - 4:2. გოლები გაიტანეს — კალინკომ, ტოლჩენინიკოვმა და პოლშჩიკოვმა (სკა), გაგუა და ასათიანი (“დინამო”)

“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 16.10.65.